პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 181 (11792) | შაბათი, 6 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

შვიდწლედის ქრონიკები

მიიღე სამშობლოვ!

◆ ჰიათურა. (საკ. კორ.). გამართულად, შეუფერხებლად მუშაობს რკინიგზის ჰიათურის სადგურის კოლექტივი (უფროსი მ. გეგია, პარტბიუროს მდივანი ნ. ლაბაძე), რომელიც ფოთის თანამოსაქმეებს ეჯიბრება. ტვირთბრუნვის გეგმების წარმატებით შესრულების, მოცდენების შემცირებისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის სადგურის კოლექტივს მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით მიეკუთვნა ამიერკავკასიის რკინიგზაზე პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა.

ივლისის პლენუმის გადწყვეტილებათა და ამ ჯილდოს პასუხად რკინიგზელებმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. ისინი თავდადებულად შრომობენ რკინიგზელის დღის ღირსეულად შეხვედრისა და წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

◆ ჟუთაისი. (საკ. კორ.). დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მშენებლობისათვის. ქალაქის სამრეწველო რაიონში, წულუკიძის ქუჩაზე ფაბრიკას უკვე გამოეყო ხუთი ჰექტარი ნაკვეთი. აქ აღიმართება რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს — ჟუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკის ოთხსართულიანი კორპუსები.

ახალი ფაბრიკა თავის პირველ პროდუქციას 1964 წელს გამოუშვებს. სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ იგი წლიურად 3 მილიონ წყვილ სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელს მოგვცემს. ამ დიდ ფაბრიკაში, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აშენდება და მოეწყობა, ათასობით კაცი იმუშავებს.

◆ ტყიბული. ქვანახშირის ტრესტმა ვადამდე გაანაღდა ქვანახშირის ამოღების შვიდი თვის გეგმა. სათბობის მოპოვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა, გაიზარდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერება.

მეშახტეებმა დაზოგეს და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს მილიონ მანეთზე მეტი.

შვიდი თვის გეგმის გადამეტებით ასეულ ტონობით ქვანახშირი ამოიღეს ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის შახტებისა და გელათის შახტის კოლექტივებმა. წარმატებით დაძლია ჩამორჩენა ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა. ახლა აქ დღე-ღამეში 2-3 პროცენტით მეტ ქვანახშირს იღებენ, ვიდრე გეგმითაა გათვალისწინებული.

ნერილების გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჰ. მაკმილანს შორის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. მაკმილანმა წერილები გაცვალეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე.

ეუასუხებს რა ჰაროლდ მაკმილანს მის 9 ივლისის წერილზე, ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი თავისი მოკავშირეების სამებლად არასწორად გადმოსცემს მიზეზებს, რომლებსაც მოჰყვა ურთიერთობის გაუარესება დიდ სახელმწიფოებს შორის ამ ბოლო დროს.

საბჭოთა მთავრობას, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, იმედი ჰქონდა, რომ ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე განხილული იქნებოდა უმნიშვნელოვანესი საკითხები. ჯერჯერობით კი ეუასებს რა ჰ. მაკმილანის მეცადინეობას მთავრობათა მეთაურების შეხვედრის საქმეში, ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს შეხვედრა ააფეთქეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ხელს აფარებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, იდებს რა ბრალს საბჭოთა კავშირს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ჩაფუშვაში, საერთაშორისო ვითარების გაუარესებაში. თქვენ, ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში ჰ. მაკმილანისადმი, დაიკავეთ პოზიცია, რომელიც უკანასკნელთ აგრესიულ ძალებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი მტრულია ჩვენდაგან, იგი მომართულია ჩვენს წინააღმდეგ, და ჩვენ მოვალენი ვართ შესაბამისი დასკვნები გავაკეთოთ აქედან.

საბჭოთა მთავრობის მეთაური თავის წერილში მოაგონებს ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავების ფრენას სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში 9 აპრილსა და 1 მაისს და აღნიშნავს, რომ ამ უზენა პროვოკაციის მიზანი იყო ვითარების გამწვავება უმაღლესი დონის თათბირის წინ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მოაგონა აგრეთვე საბჭოთა კავშირისადმი მტრული უკანასკნელი აქტი, რომელიც ჩაიდინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, — ამერიკის „U-2-47“ თვითმფრინავის ფრენა, რომელიც 1 ივლისს შემოიჭრა სსრ კავშირის საზღვრებში.

ამგვარი პოლიტიკა, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, აგრესიისა და ყაჩაღობის პოლიტიკაა. მაგრამ საბჭოთა კავშირი როდია ასეთი ქვეყანა, რომელსაც არა აქვს შეაღებლები დაიცვას თავისი ღირსება. ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა გავაუნბელოთ ყოველი აგრესორი.

ეხება რა საკითხს იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ახლა შეიქმნა კონგოს რესპუბლიკაში, რაზედაც ეაპარაკა იყო ჰ. მაკმილანის წერილში, ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში ბელგიის მთავრობა, რომელმაც მოაწყო ინტერვენცია ამ ახალგაზრდა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვერ გაამართლებდა აგრესიის მოხდენას, რომ არ ეფიქრებოდეს ამა თუ იმ ფორმით წაურთმიან მოწონება ნატოში მისი მთავარი პარტნიორების მხრივ.

ჰ. მაკმილანისადმი წერილში ნ. ს. ხრუშჩოვი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს დიდი ბრიტანეთის კოლონიური პოლიტიკის შესახებ. ჩვენ საბჭოთა კავშირში, წერს იგი, კარგად ვიცით, რომ კოლონიალიზმი მისი ყოველი ფორმით მუდამ ნიშნავს ძარცვას, ექსპლოატაციას, ხალხთა ელემენტარული უფლებებისა და მათი ეროვნული სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვას. და მე ვფიქრობ, რომ იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც წინათ იყვნენ ან ჯერ კიდევ არიან კოლონიების მდგომარეობაში, კოლონიური ბატონობის „სიკეთის“ შესახებ აქვთ თავიანთი აზრი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან, რაც გამოთქმულია თქვენს წერილში.

ეხება რა ორ გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხს, საბჭოთა მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი წინააღმდეგი არიან საზავო ხელშეკრულების დადებისა, თუმცა თვითონ არსებითად არ სურთ გერმანიის გაერთიანება, რადგან ეშინიათ ძლიერი გერმანიისა. ორ გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადება მათ არ სურთ აგრეთვე იმიტომ, რომ ამის წინააღმდეგია კანცლერი ადენაუერი. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნები ახლა აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ შეიარაღონ დასავლეთი გერმანია რაკეტულ-თერმოატომბულის იარაღით, მაშასადამე ამზადონ იგი ომისათვის.

საბჭოთა კავშირს, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, სურს იცხოვროს მშვიდობით და მეგობრობით ყველა ხალხთან განურჩევლად სახელმწიფოთა სოციალური და პოლიტიკური წყობილებისა. მიუხედავად პროვოკაციებისა, რომლებიც მოახდინეს ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო ეს პროვოკაციები მოახდინეს იმისათვის, რომ კვლავ შეექმნათ მსოფლიოში დაძაბულობა, ჩვენ არ წავალთ გამალებული შეიარაღების გზით, ჩვენ განვაგრძობთ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და ვამცირებთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს. საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობა და არა მარტო მშვიდობა, არამედ მეგობრობაც.

საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ აცხადებს, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი ჰ. მაკმილანისადმი წერილში, რომ იგი არ ერევა ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების საქმეში. საბჭოთა კავშირი დგას სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობის პოზიციებზე, მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციაზე. თუ თქვენც იქნებით ასეთ პოზიციებზე, ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებას. მხოლოდ ეს არის საერთაშორისო დაძაბულობის შესაძლო შენელების საწინდარი.

უნდა ვთქვა, წერს დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი კვლავაც გამოიყენებენ ყველა საშუალებას და ღონისძიებას, რათა დედამიწაზე ხალხთა ბედნიერებისათვის განმტკიცდეს მშვიდობა. (საკდესი).

ინგლისის კაბინეტი იხილავს ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს მაკმილანის წერილზე

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს გაიმართა ინგლისის კაბინეტის სხდომა, რომელზეც, როგორც ეუწყებიან, იხილავდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილს, რომელიც 4 აგვისტოს გაეგზავნა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰ. მაკმილანს.

წინ, მხოლოდ წინ, მეჩაიეებო!

★

ბაკურციხელები კრეფენ ჩაის

ჩვენს საერთო წარმატებებში გარკვეული წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან დასახმარებლად ჩამოსულ ამხანაგებს. აი, მაგალითად, გურჯაანის რაიონის ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები. ორ თვეზე მეტია ისინი ჩვენს მხარდამხარ იბრძვიან „მწვანე ოქროს“ ბარაქიანი მოსავლისთვის.

პირველ ხანებში ბაკურციხელებს უძნელდებოდათ მუშაობა, მაგრამ ეს იყო რაღაც ორ-სამ დღეს, შემდეგ ისინი შეეჩვივნენ ფოთლის კრეფას.

ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. მესაბლიშვილმა დღემდე 2.800 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა; იგი ყოველდღიურად 50-60 კილოგრამ „მწვანე ოქროს“ კრეფს.

საუკეთესოდ მუშაობენ და დღიურ ნორმებს ორმაგად ანაღდებენ მოსწავლეები ბ. იაგორაშვილი, რ. სამადაშვილი, ნ. მეზვრიშვილი, ზ. თეთრაული, ი. ქიტოშვილი, ვ. გურგენიშვილი და სხვ.

ჩვენი მეურნეობის მეჩაიეებმა პირობა დადეს სეზონის ბოლომდე წლიური ვალდებულების გადამეტებით მოკრიფონ 50 ტონა ჩაის ფოთოლი. ამ საქმეში უსათუოდ დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენი სტუმრები — ბაკურციხელი მეგობრები.

თ. მგელაძე,

მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.



გუშინ პლანტაციებში

◆ ბალის რაიონის მეჩაიეებმა გუშინ გადახედეს გაწეული მუშაობის შედეგებს. მოკრეფილი აქვთ 9.772 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ შარშანდელთან შედარებით 835 ტონით მეტი. 4 აგვისტოსათვის ჩაის კრეფის წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს სოფელ ბედიის კოლმეურნეობა „საქართველომ“, სოფელ თაგილონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ. სულ რაიონში გუშინ მოკრიფეს 81 ტონა ჩაი, შარშან კი 43 ტონა.

ქვემო ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე **ლუსია სილოგავამ** ერთ დღეს მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და იბრძვის ნახევარ ჰექტარზე 7 ტონა ჩაის მიღებისათვის. რეჩხი-ცხირის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში **ვერა უზარაშვილმა** მოკრიფა 60 კილოგრამი, სულ სეზონში 4.300 კილოგრამი, კიდევ მოკრეფს 800 კილოგრამს. ჩხორთოლის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში ყველას გაუსწრო **ნორა კიკორიამ**, რომელმაც ერთ დღეს მოკრიფა 103 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

მოკრეფილია 114.457 ტონა ჩაი

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მეჩაიეობის რაიონებში დასახმარებლად ჩასულმა ადამიანებმა ახალი შრომითი აზვირთება გამოიწვიეს „მწვანე ოქროს“ პლანტაციებში, რაც თავის გამოხატულებას პოულობს 145.000 ტონა ჩაისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით სულ საქართველოში მიმდინარე წლის პირველი აგვისტოსათვის მოკრეფილია 114.457 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გასული წლის ამავე პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 100.250 ტონა, ე. ი. 14.207 ტონით ნაკლები. პირველი აგვისტოსათვის ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 82,9 პროცენტით, ივლისის გეგმა — 117,6 პროცენტით.

აჭარის ასსრ მეჩაიეებს სეზონის დაწყებიდან დღემდე მოკრეფილი აქვთ 20.114 ტონა ჩაი, გასულ წელს ამავე პერიოდში მოკრეფილი ჰქონდათ 16.887,8 ტონა. წლიური გეგმის შესრულება უდრის 85,2 პროცენტს, ივლისის გეგმისა — 118,6 პროცენტს. აფხაზეთის ასს რესპუბლიკას მოკრეფილი აქვს 18.904 ტონა, გასული წლის ამავე დროისათვის მოკრეფილი ჰქონდა 17.218 ტონა. წლიური გეგმა შესრულებულია 88,2 პროცენტით, ივლისის გეგმა — 112,4 პროცენტით.

ჩაის კრეფაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ქობულეთის, სოხუმის და სხვა რაიონების მეჩაიეებმა.

ჩაის კრეფის ტემპი თანდათან ძლიერდება.

ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲡᲢᲘᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ

მაგრად აცხუნებს თაკარა მზე. თითქოს ამ დროს ჩეროში უნდა ისვენებდე, სადმე მდინარეში იგრილებდე დასიცხულ ტანს, მაგრამ საამისოდ არ სცალიათ ჩაის პლანტაციებში მომუშავე ადამიანებს. ფოთლის კრეფის ცხარე დღეებია და უქმად ვინ დაკარგავს ძვირფას წუთებს.

ეს სიცხე არც მაღალ მთებიდან ჩამოსულ სვანებს აშინებს, ისინი ახლა მასპინძლების „ჭირვარამს“ იზიარებენ, ეხმარებიან მეტი ჩაისათვის ბრძოლაში...

ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველია, რომელიც ჩაის ფოთლის კრეფაში უსწრებს თანამოსაქმეებს. ივლისის გეგმა 146 პროცენტით შეასრულა და 136 ტონა ზეგეგმითი ჩაი მისცა სახელმწიფოს.

ამ საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ დასახმარებლად ჩამოსულ სვანებს. 12 მაისს 220 მკრეფავი ესტუმრა ზედა ეწერის მეურნეობას მესტიის რაიონიდან. მათ ჩამოჰყვა პარტიის მესტიის რაკომის პირველი მდივანი ამხ. ხ. ჭკადუა, რომელმაც წარმატებები უსურვა ჩამოსულებს და სთხოვა დაუზარებელი შრომით დაეცვათ მათი რაიონის ღირსება.

— სვანების მოუღლელი შრომაზე, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მეურნეობის დირექტორმა ჩიქავამ, — ბევრი მსმენია. ბეჯითი შრომით მესტიელმა მეგობრებმა ჩვენი საერთო სიყვარული დაიმსახურეს. ჩვენი მეურნეობა წარმატებას წარმატებაზე აღწევს. ეს სვანების ენერგიული მუშაობის შედეგია.

ამჟამად ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 150 მესტიელი კრეფს ჩაის ფოთოლს. გეგმით 120 ტონა ჩაი უნდა მოეკრიფათ. დღემდე მოკრეფილი აქვთ 161.292 კილოგრამი ჩაი. მესტიელებმა სწრაფად აითვისეს ჩაის ფოთლის კრეფის ტექნიკა. გეგმით გათვალისწინებული 12 კილოგრამის ნაცვლად ყოველდღიურად 20-25 კილოგრამს კრეფენ.

ცალკეული მკრეფავები უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ. ლატალელები შუშანა ფირცხელანი, იზოლდა გირგვლიანი, ბეჩოელები ნათელა უშბვანი, ვენერა გურჩიანი, ცხუმარელები ეთერ სალლიანი, ნინო არდვლიანი, ეცერელები აგრაფინა პაკელიანი, ოლია ჩხეტიანი, ლენჯერელები თინა გულედანი, ლენა ნავერიანი, ჯუბერელები გული ცინდელიანი, მერი გვიშიანი, მესტიელები დოდო ფალიანი, ფოთოლა რატიანი ყოველდღიურად 45-50 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ და ნორმას ოთხმაგად ასრულებენ.

15 ივლისიდან მეურნეობაში კიდევ 10 ქალი მოვიდა სოფელ ბეჩოდან. მათ ბრიგადირად აირჩიეს თანასოფლელი მერი კვიციანი. ბეჩოელი ქალები ენერგიულად მუშაობენ მეტი ფოთლის მოსაკრეფად.

23 ივლისს მეურნეობაში დასახმარებლად ჩამოვიდა ლენჯერის საშუალო სკოლის 15 მოსწავლე. მათ ხელმძღვანელობს მასწავლებელი დავთ მერლანი. მოსწავლეებმა ლილი გულედანმა, ნაზი ჯაჭვანმა, ლამარა შუკვანმა, ზოია მერლანმა, კატუშა ფილფანმა პირველად ნახეს ჩაის ბუჩქები, მაგრამ სწრაფად აითვისეს კრეფის წესები და ორმაგად ასრულებენ ნორმას.

დიდი მადლობა სვანეთიდან ჩამოსულებს, — ერთსულოვნად აცხადებენ ზუგდიდელები. (სპკ. კორ.).

სურათებზე: სვანი გოგონები ეთერი ცინდელიანი (მარცხნივ) და ეკატერინე ჩხვილმანი; თვითეულს უკვე მოკრეფილი აქვს ორნახევარ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

★ ★ ★

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კონგოელი ხალხისათვის

განათლებისა და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომელნიც არჩეულ იქნენ ტაჯიკეთის სსრ მასწავლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 528 კაცი, აქედან ლენინის ორდენით — 4, შრომის წითელი დროშის ორდენით — 92, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 115 და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 297 კაცი.

ნიკოლაევი, 3 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა ასი სატვირთო ავტომანქანის, მათი სათადარიგო ნაწილების კომპლექტისა და სარემონტო სახელოსნოს დატვირთვა თბომავალ „არხანგელსკზე“. ყოველივე ეს კონგოს რესპუბლიკაში იგზავნება.

წიგნი ავსტრიაში ნ. ს. ხრუშჩოვის მეგობრული ვიზიტის შესახებ

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის ისტორიაში დაუვიწყარ ფურცლად შევიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ამასწინანდელი სახელმწიფო ვიზიტით მოგზაურობა ავსტრიაში. საბჭოთა მთავრობის მეთაური და მისი თანმხლები პირები 9 დღეს იმყოფებოდნენ სტუმართმოყვარე ავსტრიის მიწა-წყალზე. სწორედ მშვიდობის ამ მისიას ეძღვნება წიგნი „მეგობრული ვიზიტი. ნ. ს. ხრუშჩოვს ყოფნა ავსტრიაში 1960 წლის 30 ივნისიდან 8 ივლისამდე“, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა.

რეპორტაჟები ვნუკოვოს აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვის გაცილების შესახებ და 30 ივნისს ავსტრიის დედაქალაქის მოსახლეობის საბჭოთა მთავრობის მეთაურთან გულთბილი შეხვედრის შესახებ, ნ. ს. ხრუშჩოვის, ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. შერფის, ფედერალური კანცლერის ი. რააბის, ვიცე-კანცლერის ბ. პიტერმანისა და ავსტრიის სხვა მოღვაწეთა სიტყვები ამ ქვეყანაში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ყოფნის დროს... ყველა ეს მასალა უკვე დაბეჭდილი იყო გაზეთებში, მაგრამ ახლა ერთ წიგნად შეკრებილნი ისინი წარმოსახავენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოღვაწეობის უფრო ვრცელ სურათს, მოღვაწეობისა, რომლის მიზანი იყო მსოფლიოს კეთილდღეობა, რომ მიღწეულ იქნას სსრ კავშირსა და ავსტრიას შორის დამყარებული კარგი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

წიგნის თვითეული გვერდი ასახავს ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას ავსტრიაში, მის ამაღელვებელ შეხვედრებს ამ ქვეყნის ნიჭიერ და შრომისმოყვარე ხალხთან. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო საბჭოთა მთავრობის მეთაური და სხვა საბჭოთა სტუმრები — ვენის საავტომობილო ქარხანაში თუ „ფესტის“ მეტალურგიულ კომბინატში, მოცარტის სამშობლოში—ქალაქ ზალცბურგში, კარინთიაში, შტირიაში, ავსტრიელი მშრომელები ყველგან აღტაცებით მიესალმებოდნენ მათ, გამოხატავდნენ საბჭოთა ხალხისადმი მეგობრობის გრძნობას.

წიგნში გამოქვეყნებულია ცნობები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ავსტრიის ფედერალური მთავრობის წევრების შეხვედრის შესახებ, საბჭოთა კავშირ-ავსტრიის კულტურული ურთიერთობის შესახებ მოლაპარაკებებზე, ეკონომიურ საკითხთა თათბირის შესახებ. მკითხველები წიგნში გაეცნობიან ნ. ს. ხრუშჩოვის ავსტრიის რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლის ტექსტს, ცნობებს ვენაში გამართული პრეს-კონფერენციის შესახებ და საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ერთობლივ კომუნიკეს, რომელიც მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირსა და ნეიტრალურ ქვეყანა ავსტრიას, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორებს, შეუძლიათ კარგად იმეგობრონ მშვიდობისა და პროგრესისათვის.

წიგნის დასასრულს გამოქვეყნებულია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობაზე 1960 წლის 9 ივლისს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ავსტრიის რესპუბლიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. (საკდესი).

ᲖᲣᲚᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ. ტოჩენოვების ოჯახში დიდი პატივით სარგებლობს სოფლის მექანიზატორის პროფესია. ტყუილად კი არ არის, რომ ოთხმა ძმამ — ევგენი, სერგი, ნიკოლოზ და ივანე ტოჩენოვებმა ეს სპეციალობა აირჩიეს და ყველანი ერთად მუშობენ ჩერნის რაიონის მ. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში. მათი სახელები კარგად არის ცნობილი ოლქში. თვითეულ ძმას შეუძლია იმუშაოს საბჭოთა მეურნეობის ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანაზე.

უფროსი ძმების კვალს გაჰყვა ყველაზე უმცროსიც — ალექსი, რომელიც ახლა მექანიზაციის სასწავლებელში სწავლობს. საწარმოო პრაქტიკაზე იგი მშობლიურ საბჭოთა მეურნეობაში მივიდა.

ახლა ხუთივე წარჩინებულად შრომობს საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ივანე, სერგი, ევგენი, ნიკოლოზ და ალექსი ტოჩენოვები.

ფოტო ბ. მახლოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ Მ. ᲐᲖᲘᲖᲑᲔᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1960 წლის ქალაქ თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 5 აგვისტო.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ Მ. ᲐᲖᲘᲖᲑᲔᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1960 წელს ქალაქ თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოებულ იქნან აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ალექპეროვი** ალიგეიდარ აბდულალი ოღლი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი, რეჟისორი
2. **ალიევი** მამედ ალი ალი ყული ოღლი — მსახიობი
3. **აფდანლი** რზა რუსტამ ოღლი — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
4. **ბასირზადე** სოფა ბასირ ყზი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი
5. **ბედირბეილი** ლეილა აღალარ ყზი— აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
6. **გერაიბეკოვი** აღა სადის აღა ალი ოღლი — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
7. **დაღესტანლი** ისმაილ იუსუფ ოღლი — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
8. **ისკენდეროვი** ადილ რზა ოღლი — სსრკ სახალხო არტისტი, თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი
9. **მარდანოვი** მუსტაფა აშუმ ოღლი — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
10. **ნოვრუზოვა** მირვარი ბალა დადაშ ყზი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი
11. **ოსმანლი** ისმაილ ოსმან ოღლი — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
12. **სადიხოვა** მახლუგა აღესკერ ყზი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი
13. **სადიხოვი** მამედ ახმედ ოღლი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი
14. **სალაევი** ჰასან აღა დარიალ ოღლი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი
15. **სანანი** მოვსუმ სადიხის-ძე — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი
16. **სულთანოვი** აიღარ ალი აბას ოღლი — აზერბაიჯანის სსრ სახალხ

რიაზანელებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის

პარტიის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დაუღალავად იბრძვიან. ჩვენი რაიონი რესპუბლიკის ერთ-ერთი მდიდარი, პერსპექტიული კუთხეა. მას ყველა პირობა აქვს სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარებისათვის.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლედის განმავლობაში ხორცის წარმოება გაზარდონ 14-ჯერ და რძისა 9-ჯერ, ამის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაადიდონ სახელმწიფოსათვის როგორც მეცხოველეობის პროდუქტების, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა.

ბევრს საეჭვოდ მიაჩნდა ასეთი დიდი ვალდებულებების შესრულება, მაგრამ შარშანდელი მუშაობის შედეგებმა ცხადყო, რომ მათი წარმატებით განაღდება თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებს შეუძლიათ.

წელს სახელმწიფოს უნდა მივყიდოთ 30.030 ცენტნერი ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.010 ცენტნერისა, ე. ი. 3-ჯერ მეტი, 50.000 ცენტნერი რძე ნაცვლად 35.000 ცენტნერისა. აღებული ვალდებულებით ერთიორად იზრდება კვერცხისა და სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის რაოდენობაც.

რაიონის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ამ დიდი ვალდებულებით ნაკისრი ნახევარი წლის ყველა დავალება. ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 10.200 ცენტნერი ხორცი, ანუ გადაჭარბებით შესრულებულია ერთი წლის გეგმა, რძე — 30.000 ცენტნერი, ე. ი. შესრულებულია 9 თვის გეგმა, კვერცხი — 100.000 ცალი — აღებული წლიური ვალდებულება შესრულებულია გადაჭარბებით. მატყლის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 104 პროცენტით.

მოპოვებული წარმატებებისათვის ჩვენი რაიონის მშრომელებმა დაიმსახურეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მილოცვა, რამაც კიდევ უფრო აოაფრთოვანა ისინი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ჩვენ მიერ მიღწეულ წარმატებებში სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომმა გაუმჯობესებამ, კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნებართვით მოვაწყეთ მცირერიცხოვანი სოფლის პარტიული ორგანიზაციების გამსხვილება. თუ შვიდწლედის წინ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა 808 კომუნისტი და თითო კოლმეურნეობაზე საშუალოდ 16 კომუნისტი მოდიოდა, ამჟამად საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხება 1.000 კომუნისტი და საშუალოდ ერთ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაზე მოდის 45 კომუნისტი.

მსხვილი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების შექმნამ თითქმის მთლიანად შეცვალა მათი მუშაობის ხარისხი და შედეგები. პასიური მდგომარეობიდან ისინი გადავიდნენ აქტიურ მდგომარეობაში. მათ დარაზმეს და გაიყოლიეს კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები. უმოქმედობა შეიცვალა ინიციატივით. ახლა პარტიის რაიკომში სისტემატურად შემოდის მასალები ამა თუ იმ მუშაკის, ამა თუ იმ კოლექტივის ინიციატივის შესახებ, რასაც რაიკომი უყურადღებოდ არ ტოვებს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შედეგად სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კოლმეურნეობებისათვის მიყიდვამ დიდად გააუმჯობესა მდგომარეობა, მოსახერხებელი გახდა ტექნიკის ინტენსიურად გამოყენება, გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. და იმისათვის, რომ ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებშიც მიგვეღწია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართოდ გამოყენებისათვის, რაიონის კოლმეურნეთა თანხმობითა და მოთხოვნით დავიწყეთ წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილება. 55 კოლმეურნეობიდან ამჟამად ჩვენს რაიონში არის 22 გამსხვილებული კოლმეურნეობა, სადაც სრული დატვირთვით არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

კოლმეურნეობათა გამსხვილებას თან მოჰყვა საარტელო მეურნეობის მომზადებული, უნარიანი ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცება.

გასულ წელს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დავნერგეთ კოლმეურნეთა ყოველთვიური ანგარიშება. ამან ერთგვარი სიახლე, სიხალისე და შრომით დაინტერესება გამოიწვია.

დიდი ყურადღება მიექცა რაიონში მემინდვრეობისა და მეცხოველეობის სამუშაოთა მექანიზაციას. ეს საქმე შედარებით კარგ მდგომარეობაშია მემინდვრეობაში. ჩვენ შევეცადეთ მანქანა-იარაღებით დაგვემუშავებინა სათოხნი კულტურების ძირითადი ფართობები. ბევრ კოლმეურნეობაში ეს საქმე კარგად დაინერგა. სოფელ კოდის მექანიზატორებმა გასულ წელს დაიწყეს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა და ტრაქტორებით დამუშავება. ამ საქმის ინიციატორი იყო მექანიზატორთა მთელი კოლექტივი, მაგრამ მათში გამოირჩევა ტრაქტორისტი ამხ. ა. ჯავახიშვილი, რომელმაც 110 ჰექტარი სიმინდი დათესა და დაამუშავა ისე, რომ ხელით შრომა სრულებით არ ყოფილა გამოყენებული.

ჩვენ მიერ აღებული ვალდებულებების მიხედვით ნახევარი წლის განმავლობაში უნდა გვეწარმოებინა ხორცი 10.050 ცენტნერი, ვაწარმოეთ 10.673 ცენტნერი. თითო ძროხაზე უნდა მიგვეღო 1.084 კილოგრამი რძე, მიღებულია 1.108 კილოგრამი. ამრიგად, წინასწარ დასახული ვალდებულებები კარგად სრულდება. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა კოლმეურნეობა ზუსტად ასრულებდეს ვალდებულებას, მაგრამ დიდი გარღვევაც ჯერ არსად გვქონია.

რაიკომის ბიუროს შემუშავებული აქვს საგიტაციო-მასობრივი მუშაობისა და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების წლიური გეგმა.

მეცხოველეობის განვითარების საქმეს თანდათან გულმოდგინედ ჰკიდებენ ხელს ახალგაზრდები. მეცხოველეობის ფერმებში მოსულმა ახალგაზრდებმა, რომლებსაც საშუალო განათლება აქვთ, დიდი საქმე გააკეთეს. ისინი ენერგიულად მუშაობენ და ამავე დროს არ ურიგდებიან ნაკლოვანებებს.

ჩვენ ვცდილობთ კოლმეურნეები გულმოდგინედ მუშაობდნენ სამუშაო დღეებში, ხოლო ვურჩევთ დაისვენონ კვირადღეს. ამ მიზნით სისტემატურად ვაწყობთ რაიონის მშრომელთა დასვენებას.

• დიდად გვეხმარება რიაზანის ოლქის სასოფლო რაიონის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრება. სასოფლო რაიონის კარგად ორგანიზებული კოლმეურნეობები, მათი მუშაობის მეთოდი შეისწავლა ჩვენი კოლმეურნეობების თითქმის ყველა თავმჯდომარემ, რომლებიც იქ იყვნენ მიმდინარე წლის დასაწყისში. უეჭველია, ჩვენს რუს მეგობრებს ბევრი ისეთი რამ აქვთ, რისი გადმოღებაც დიდად სასარგებლო გახდა ჩვენთვის. სასოფლო რაიკომის მდივანი ამხ. ნ. კაბანოვი ყოველ თვის ბოლოს გვწერს თავისი რაიონის მუშაობის შედეგებზე, რასაც ჩვენს მუშაობაში ვითვალისწინებთ.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებს ცუდი მაჩვენებლები როდი აქვთ შვიდწლედის მეორე წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებ პროდუქტებს ვაწარმოებთ.

რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები თავდადებით მუშაობენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ჩვენი რაიონის მშრომელები პატიოსნად შეასრულებენ აღებულ ვალდებულებებს, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი დიდი სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

ა. ბექაური,

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი.

მეგობრები ერთმანეთისგან სწავლობენ

ზეიმი ხმიადაშვილის ოჯახში

მეზობლებს, მეგობრებს არ გაჰკვირვებიათ ამ დღეებში მორიგი ლხინი ზეინკლის ბაგრატ ხმიადაშვილის ოჯახში. ალბათ ოჯახის რომელიმე წევრის დაბადების დღეს აღნიშნავენო, ამბობდნენ.

— ბაგრატის ვაუკაცობას გაუმარჯოს, — ერთხმად გაიძახოდნენ სუფრის მონაწილენი.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალი ბ. ხმიადაშვილი წარმოების ნოვატორია. მისი ყოველდღიური შემოქმედებითი კანონია: დღეს უკეთ იმუშაოს, ვიდრე გუშინ, ხვალ კი უკეთ ვიდრე დღეს! შვიდწლედის გმირი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს, ყოველდღიურ დავალებას ოთხმაგად-ხუთმაგად ასრულებს.

ბაგრატმა კიდევ ერთი ახალი დაუვიწყარი ფურცელი ჩაწერა თავის ბიოგრაფიაში — მომდინარე წლის პირველი აგვისტოსათვის წარმატებით შეასრულა 1981 წლის პირადი საწარმოო დავალება.

სწორედ ამ შესანიშნავ მიღწევას მიუძღვნა იმ საღამოს მან ლხინი საკუთარ ორსართულიან სახლში.

კომუნისტები ასე ფიქრობენ და ზრომობენ

არა, მარტო ამით არ დავკმაყოფილდებით!

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში 68 კომუნისტია, რომელთაგან უშუალოდ წარმოებაში 51 კაცი მუშაობს. მათ შორის 19 მერგოლურია და 8 ბრიგადირი.

ეს საშუალებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციას გავლენა ახდენდეს წარმოების უმნიშვნელოვანეს უბნებზე. პარტიულო წარმართავენ კომუნისტთა მუშაობას და პრაქტიკულ დახმარებას უწევს დასახული ამოცანების შესრულებაში.

მეტი წილი ჩვენი კომუნისტები ავტორიტეტით სარგებლობენ. ისინი კარგი საქმიანი მუშაკები არიან. კომუნისტი ესნატია თარკილი ხანში შესული, გამოცდილი, თავისი საქმის მცოდნე კოლმეურნეა. მთელი რიგი წლების განმავლობაში იგი კოლმეურნეობის გამგეობის წევრია. ადამიანებს მუდამ ყურადღებით ეკიდება. დავალებებს ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებს.

ახალგაზრდა კომუნისტთაგან კოლმეურნეობის წევრთა შორის ავტორიტეტი მოიხვეჭა ზოსიმე არძინბამ. იგი დიდი ხანია მუშაობს ბრიგადირად. ორი წლის წინათ გადაიყვანეს სხვა ბრიგადაში, რომელსაც მაინცდამაინც კარგი მაჩვენებლები არა ჰქონდა. ზ. არძინბას ხელმძღვანელობით ბრიგადამ კარგად დაიწყო მუშაობა. ბრიგადის ყველა წევრი ასრულებს დავალებებს.

შემოქმედებითი შრომის პირად მაგალითს აჩვენებენ კომუნისტები ი. პკინი, რ. ბუტბა, ფ. ლაკერბაია, ლ. არძინბა, შ. საკანია და სხვები.

ჩვენს კოლმეურნეობაში წლითიწლობით არ სრულდებოდა წველადობის გეგმა. ბევრი ფიქრობდა, რომ იგი ვერასოდეს ვერ შესრულდებოდა, ვითომდა სათანადო პირობების უქონლობის გამო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფერმაში გაგზავნეს ვეტფერშალი ბ. ა. კუკლინოვსკი, მდგომარეობა შეიცვალა. შარშან თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულ იქნა 1.412 ლიტრი რძე, რაც 13-ჯერ მეტია 1953 წლის მაჩვენებელზე.

საკოლმეურნეო წარმოებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალგაზრდობა, რომელსაც სათავეში უდგას კომკავშირული ორგანიზაციაა. სულ კოლმეურნეობაში 115 კომკავშირელია. მათგან საკოლმეურნეო წარმოებაში შრომითს მონაწილეობას იღებს 81 კაცი. შარშან მათ 40 ჰექტარ ფართობზე აიღეს 242.400 კილოგრამი ჩაი, რაც საშუალოდ ჰექტარზე 6.035 კილოგრამს შეადგენს.

პარტიული ბიურო და პარტიული ორგანიზაცია უკანასკნელ ხანს პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კომუნისტების აღზრდას, დაკისრებული საქმეებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას.

ბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე გახხილული იყო ცალკეულ კომუნისტთა მიერ პარტიულ დავალებათა შესრულების საკითხები. ამან დადებითი შედეგები მოგვცა, კომუნისტები უფრო პრინციპული გახდნენ, ენერგიულად გაიჩაღეს ბრძოლა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

ეს კარგად ჩანდა ცალკეული კომუნისტების გამოსვლებიდან კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის როგორც წინა კრებებზე, ისე საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. თითქმის ყველა კომუნისტი გაბედულად და სამართლიანად ლაპარაკობდა პარტბიუროს, კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობის ნაკლოვანებებზე და აყენებდა საქმიან წინადადებებს.

პარტიულმა ორგანიზაციამ ყურადღება მიაქცია კრიტიკულ შენიშვნებს და თავის დადგენილებებში შესაბამისი მუხლები შეიტანა შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიულმა ორგანიზაციამ იცის, რომ უპარტიოებთან კავშირის განტკიცებაში დიდ როლს ასრულებს ღია პარტიული კრება. ამიტომ მეტ წილ საკითხებს, რომლებიც კოლექტიურ მეურნეობას ეხება, ღია პარტიულ კრებებზე ვიხილავთ. ეს შესაძლებლობას აძლევს პარტიულ ორგანიზაციას დროულად შეამჩნიოს საკუთარი ნაკლოვანებანი, გამოიყენოს საკოლმეურნეო აქტივის გამოცდილება და ცოდნა, ჩააბას აქტივი პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ აგიტაციას. ჩვენი კოლმეურნეობის კომუნისტები სათავეში უდგანან ამ პასუხსაგებ საქმეს. სოფლად საგიტაციო მუშაობა ცუდად როდია დაყენებული. 1959 წელს 35 აგიტატორი გვყავდა, ახლა კი 50 გვყავს. პარტიულმა ორგანიზაციამ საგიტაციო მუშაობაში ჩააბა არა მარტო კომუნისტები, არამედ უპარტიო აქტივიც: კომკავშირელები, ადგილობრივი ინტელიგენცია.

აგიტატორებს არ შეუძლიათ დასჯერდნენ საერთო-სახალხო ამოცანების, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების ახსნა-განმარტებას. ისინი თავიანთ პირად მაგალითს უჩვენებენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ასეთები არიან აგიტატორები ხ. არძინბა, ა. ტანია, ჩ. კვარაცხელია, ე. ტანია, ბ. თარბა, ნ. საკანია და სხვები.

პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას სოციალისტურ შეჯიბრებას. ჩაის კრეფის პიროდში ხუთ დღეში ერთხელ ვაჯამებთ ბრიგადებს შორის შეჯიბრების შედეგებს და დაფაზე ავსახავთ მაჩვენებლებს.

კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით გამარჯვებული ბრიგადებისათვის დაწესებულია სამი ფულადი პრემია, ხოლო მკრეფავებისათვის ფასიანი საჩუქრები.

სოციალისტური შეჯიბრება და სოფლად საგიტაციო- მასობრივი მუშაობა ხელს უწყობს საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

გაითვალისწინეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, კოლმეურნეებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 40 წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს შემდეგი გადიდებული ვალდებულებანი:

1960 წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.400 ტონისა, საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფონ 4.400 კილოგრამი. უფრო მაღალი ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა.

წელს ერთ საფურაქე ძროხაზე მივიღებთ 1.500 ლიტრ რძეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ლიტრისა. ჰექტარზე მოვიყვანთ 25 ცენტნერ სიმინდს, ანუ ყოველ ჰექტარზე 5 ცენტნერით მეტს.

სოფელ დურიფშის კოლმეურნეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ ნაკისრი მაღალი ვალდებულებანი, იარონ სულ წინ, არასოდეს არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით.

კ. გუმბა,

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის“ პარტბიუროს მდივანი.

**საქართველოს კომუნისტური პარტიის ოსელოგანი-ამბიციებაუბლიკა ... ...

საბჭოთა მთავრობის ნოტა

დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა 8 აგვისტოს დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს მრჩეველ-დესპანს ბ-ნ ვ. ბარკერს გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა იმ საკითხზე, რომ ამერიკის „რბ-47“ სამხედრო თვითმფრინავმა, რომელიც გამოფრინდა ინგლისის ტერიტორიიზე მდებარე ბაზიდან, 1 ივლისს დაარღვია სსრ კავშირის საჰაერო სივრცე.

საბჭოთა მთავრობის ეს ნოტა პასუხია დიდი ბრიტანეთის მთავრობის 19 ივლისის ნოტაზე, რომელშიც ინგლისის მთავრობა ცდილობს გაამართლოს ამერიკის სამხედრო ავიაციის აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იგი იმეორებს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეთხზულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც ჩამოაგდეს სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში, თითქოს „არასოდეს არ მიახლოებოდეს საბჭოთა სახმელეთო ტერიტორიას დაახლოებით 30 მილზე ნაკლებ მანძილზე“.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა, ნათქვამია საბჭოთა ნოტაში, უსიტყვოდ უპერს მხარს მოვლენათა ვერსიას, რომელიც მოყვანილია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 13 ივლისის ნოტაში, თუმცა ამ ვერსიას საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან და გამოგონილია მხოლოდ იმისათვის, რომ დაფაროს ახალი აგრესიული აქტი, რომელიც განახორციელეს საბჭოთა კავშირის მიმართ.

ნუთუ დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის ნათელი არ არის, რომ სწორედ სსრ კავშირის მთავრობას მოეპოვება ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა პუნქტში გადასერა საბჭოთა საზღვარი დამრღვევმა თვითმფრინავმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის საჰაერო თავდაცვის ჯარები უთვალთვალებდნენ და სად ჩამოაგდეს იგი მას შემდეგ, რაც მან უგულებელყო მიცემული გაფრთხილებანი?

საჭირო ხდება აღვნიშნოთ, ნათქვამია ნოტაში, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა, ხელს აწერს რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აშკარა ყალბ მტკიცებებს, გამოდის, როგორც მხარე, რომელიც იწონებს ამერიკის სამხედრო ავიაციის აგრესიულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობამ, ნათქვამია დასასრულ ნოტაში, უკვე გააფრთხილა დიდი ბრიტანეთის მთავრობა, თუ რა მძიმე პასუხისმგებლობას კისრულობს იგი, როცა გამოდის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების თანამონაწილის როლში. სსრ კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია კვლავ დაადასტუროს თავისი 11 ივლისის ნოტა და იქ გამოთქმული მტკიცე პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიას უთმობენ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების აგრესიული აქტების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ამას ბოლო მოეღება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იზრუნებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის ხალხთა უშიშროება მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით. (საკდესი).



ამერიკელ-ინგლისელ-ფრანგ-ესპანელ-ბელგიელ-ინდოელ-ბრაზილიელ-ბერძენ-ოსტატ-ბატონ-ქალბატონ-ბიჭ-ბებია-ბებერ-ბებერ-ბებერ

ლიტერატურა და ხელოვნება

ფუნჯის ენით

ნათელა იანქოშვილი თავისი ინდივიდუალური მანერის მქონე მხატვარია. იგი თავის მასწავლებლების — ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, უჩა ჯაფარიძის, მოსე თოიძის მდიდარი ტრადიციების ნიჭიერად ამთვისებელი მოწაფეა. მისი სურათების ახლადგახსნილი გამოფენა ნათლად მეტყველებს მხატვრის შემოქმედებით შესაძლებლობებზე.

თექვსმეტი წელიწადი არც თუ ისე დიდი დროა მხატვრის შემოქმედებისათვის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებრიობამ არაერთხელ იხილა მხატვრების გამოფენაზე ნათელა იანქოშვილის ნაზი, კოლორიტული, თბილი ფერებით შესრულებული სხვადასხვა ნაწარმოებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრის მონაწილეობა ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ გამოფენაზე, სადაც მან წარმოადგინა თავისი შემოქმედებითი ძიებებისათვის დამახასიათებელი ძირითადი სახეები.

ნ. იანქოშვილი რეალისტი ფერმწერია. მან გაიარა მეტად საინტერესო გზა. თუ წინა წლებში მის ნამუშევრებს ეტყობოდა სტილის ჩამოუყალიბებლობა და მერყეობა, უკანასკნელ წლებში ნ. იანქოშვილი გაიზარდა როგორც მხატვარი, მის შემოქმედებას დღეს საკუთარი სახე, ფორმა, კოლორიტი ახასიათებს.

მხატვარი ძირითადად მუშაობს პორტრეტებზე. გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმოებებიდან უყურადღებას იპყრობს საბჭოთა მოწინავე ადამიანების, მეშახტეების, სოფლის მეურნეობის, ხელოვნების მოღვაწეების, სტუდენტების პორტრეტები. მხატვარს კარგად ეხერხება სხვადასხვა ხასიათების შექმნა და გადმოცემა. ამ მხრივ საინტერესოა მის სურათებზე გადმოსახული გურული, იმერული, სვანური და სხვა ტიპები, ასევე საყურადღებოა მოცეკვავე ნუნუ ჯოლდიაშვილის, „მამის“, ნინო ჭავჭავაძის და სხვათა ორიგინალურად გადაწყვეტილი ტილოები.

ბელა მირიანაშვილის პორტრეტი.
მხატვარი ნ. იანქოშვილი.

გამოფენის მნახველს არ დაავიწყდება საინტერესო პორტრეტები: „მეჩაიე ქალი“, „ქალიშვილი კალათით“, „ქალიშვილი ბურთებით“.

ნ. იანქოშვილის შემოქმედებაში შესამჩნევია თემატიკის მრავალფეროვნება. მხატვარი იცნობს ცხოვრებას, ხალხს, საბჭოთა ადამიანის დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს. მის ნაწარმოებებში ყოველთვის ერთმანეთთან კავშირშია სურათის დასახელება, სახელწოდება და სურათის შინაარსი. ასეთია მისი ეტიუდები: „წარსულის მოგონება“, „მე დავიცავ ჩემს სამშობლოს“, „წინათგრძნობა“. კარგია ეტიუდი (აკვარელი) „ყაყაჩო“, სადაც ქალი ყაყაჩოს სიმბოლოდ არის წარმოდგენილი, აგრეთვე „ბიჭი ვიოლინით“.

გრაფიკულ ნამუშევართა შორის გამორჩეულია ი. ჭავჭავაძის, ლ. არდაზიანის, გრ. ორბელიანის, მ. გორკის, ბერნარდ შოუს და სხვათა პორტრეტები. თავისებურად არის გადატანილი ტილოზე გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რომელიც მხატვარმა შემოქმედებითად გაიაზრა: საყდარში შემოსული პოეტი თამარის გარდა სხვას არაფერს ხედავს; სამაგიეროდ მხატვარმა ბუნდოვნად მოგვცა თვით პოეტი, საღაც კუთხეში მდგარი. ფილოსოფიურად გადაწყვეტილია ეტიუდი „ქანდაკების გამოცოცხლება“, მხატვარმა თითქოს სული ჩუდგა ქვას.

არ შეიძლება არ შევჩერდეთ ერთ ფსიქოლოგიურ ეტიუდზე, რასაც ეწოდება „ქალების ჩურჩული“. ახალგაზრდა ქალებს თავი მოუყრიათ, ერთმანეთისათვის ყური მიუპყრიათ და საიდუმლოდ ეჩურჩულებიან ერთმანეთს, ვის რა ბედი ეწევა...

ნ. იანქოშვილს კარგად აქვს წარმოდგენილი სიყვარულის თემა. მის მიერ შექმნილი ქალ-ვაჟთა ცოცხალი სახეები, მათი ერთმანეთისადმი მისწრაფება, ლტოლვა, სპეტაკად, ჯანსაღად აქვს გამოხატული. არსად არ ირღვევა კოლორიტი, კომპოზიცია... ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ სიყვარულმა უნდა გაიმარჯვოს.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. იანქოშვილი ძლიერია გრაფიკაში, მისი წერის მანერით შესრულებული არაერთი წიგნი იქცევს ყურადღებას. ნ. იანქოშვილს ჯერ კიდევ წინ აქვს ფართო პერსპექტივებით სავსე გზა, საჭიროა მხოლოდ იგი კიდევ უფრო ახლოს მივიდეს სინამდვილესთან, თანამედროვე ცხოვრებასთან.

ნინო ჩიხლაძე.

ახალი წიგნები

ხ. შანშიაშვილი, პიესები, I ტ. რედაქტორი ბ. მირცხულავა, მხატვარი ჯ. ყაველაშვილი. ტირაჟი 4.000, ფასი 15 მან.

ტ. ტაბიძე, რჩეული ლექსები. რედაქტორი ლ. ელიოზიშვილი, მხატვარი ი. ჯანაშვილი. ტირაჟი 7.000, ფასი 9 მან. 55 კაპ.

გრ. აბაშიძე, „პირამიდებზე“ (ლექსები). რედაქტორი მ. ფოცხიშვილი, მხატვარი ი. ჯანაშვილი. ტირაჟი 3.000, ფასი 2 მან. 60 კაპ.

ი. ნონეშვილი, „ცისარტყელის ჭიშკარი“ (ლექსები). რედაქტორი ა. გაბესკირია, მხატვარი ლ. გუდიაშვილი. ტირაჟი 3.000, ფასი 4 მან. 85 კაპ.

რ. მარგიანი, „მთანი მაღალნი“ (ლექსები). რედაქტორი ვ. ჯავახაძე, მხატვარი გ. კალაძე. ტირაჟი 2.000, ფასი 9 მან.

ა. გომიაშვილი, „ადგილის დედა“ (ლექსები, ბალადები). რედაქტორი ნ. ხომერიკი, მხატვარი ი. ჯანაშვილი. ტირაჟი 14.000, ფასი 5 მან. 40 კაპ.

ო. დემეტრაშვილი, „ჩემი უბანი“ (მოთხრობები). რედაქტორი გრ. ჩიქოვანი, მხატვარი ი. ჯანაშვილი. ტირაჟი 5.000, ფასი 1 მან. 05 კაპ.

ოსკარ უაილდი, „ბროწეულის სახლი“ (ზღაპრები), თარგმანი ინგლისურიდან ქ. კანდელაკის და ნ. ჩიგოგიძისა). რედაქტორი გივი გაჩეჩილაძე, მხატვარი ა. ვეფხვაძე. ტირაჟი 30.000, ფასი 5 მან. 75 კაპ.

ვ. გაბესკირია, ლირიკა. რედაქტორი ქ. ქუჩუკაშვილი, მხატვარი თ. სიკორსკაია. ტირაჟი 3.000, ფასი 3 მან. 50 კაპ.

რ. ჭიკინაძე, „პეტრე შალიკაშვილი — ცხოვრება და შემოქმედება“. რედაქტორი ოთ. ეგაძე, მხატვარი ი. კალაძე. ტირაჟი 15.000, ფასი 3 მან.

სოფლის შარაზე.

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

პოეზია, მეგობარობა, თანამედროვეობა...

პოლონელი პოეტები თბილისში

უკვე ორ კვირაზე მეტია საბჭოთა კავშირში იმყოფება პოლონელი პოეტების ჯგუფი, რომელშიც შედიან პოლონეთის პროლეტარული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელი ვლადისლავ ბრონევსკი, თანამედროვე პოლონეთის ცნობილი პოეტი არტურ მენძიეეცკი, მათი თანამოკალმენი ვისლავა შიმბორსკაია, სტანისლავ გროხოვიაკი და ზემოვიტ ფედეცკი. პოლონელმა პოეტებმა მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურულ დისკუსიაში „პოეზია და თანამედროვეობა“, რომელიც გაიხსნა მოსკოვში, ლიტერატორის ცენტრალურ სახლში, გაგრძელდა ლენინგრადში და დამთავრდა თბილისში.

ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში შედგა დისკუსიის უკანასკნელი ეტაპი პოლონელი და ქართველი პოეტების მონაწილეობით.

დისკუსიის დღეებში პოლონელი სტუმრები გაეცნენ თბილისს, მის წამყვან საწარმოებს, ჩვენი დედაქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა მწერალთა კავშირში დისკუსიამ, აზრთა ურთიერთგაცვლამ.

შეხვედრა-დისკუსია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ირაკლი აბაშიძემ, რომელმაც სტუმრებს გადაუშალა ქართული საბჭოთა მწერლობის თანამედროვე მდგომარეობის სურათი და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

შემდეგ გაიმართა კამათი.

— თბილისში პირველად ვიყავი 1934 წელს, — თქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ვლადისლავ ბრონევსკიმ, — და უნდა ვაღიარო, რომ თითქოს ვერ ვიცანი თქვენი მშვენიერი დედაქალაქი, ისე შეცვლილა ყოველივე. ჩვენ აქ ვიგრძენით ნამდვილი სითბო, ჭეშმარიტი მეგობრული დამოკიდებულება, რაც ნაკარნახევია ქართველი და პოლონელი ხალხების ისტორიული მეგობრობის კეთილშობილური ტრადიციებით.

დელეგაციის მეთაურმა არტურ მენძიეეცკიმ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ერთკვირეულს პოლონეთში, რამაც გააღვივა ინტერესი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. ეს დისკუსიაც ამ ხაზს აგრძელებს.

— ჩვენ აქ ჩამოვედით როგორც პოეტები, მხატვრული სიტყვის ოსტატები, — განაცხადა ა. მენძიეეცკიმ, — ხოლო ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ქართულ და პოლონურ პოეზიას შორის დიდი ხანია გაიდო სიყვარულისა და მეგობრობის ხიდი. მინდა გავიხსენო, რა დიდი სულიერი მისწრაფებები აკავშირებდათ ჩვენს პოეტს ვლადი ზაბლოცკის და თქვენს დიდ მგოსანს ნიკოლოზ ბარათაშვილს. ეს მეგობრობა განსაკუთრებით გამმტკიცდა და დღითიდღე მტკიცდება დღეს, როცა საბჭოთა კავშირის დახმარებით სახალხო პოლონეთი აშენებს სოციალიზმს, ხოლო საქართველო აყვავებული საბჭოთა რესპუბლიკაა... სოციალიზმმა, ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ უმაგალითოდ შეუწყო ხელი ხალხთა კულტურული ურთიერთობის გაშლასა და გაღრმავებას. დღეს ჩვენში, პოლონეთში, კარგად იცნობენ საბჭოთა, კერძოდ ქართულ პოეზიას. თქვენთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ უახლოეს ხანში პოლონეთში გამოვა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ პოლონურ ენაზე, რომელიც ჩვენს მკითხველს გააცნობს მდიდარ და მრავალფეროვან ქართულ პოეტურ კულტურას ხახალხო პოეზიის საუკეთესო ნიმუშებით დაწყებული მის საუკეთესო თანამედროვე წარმომადგენლებამდე.

თანამედროვეობა, მშვიდობა, პოეზიის შთამაგონებელი ძალა, ბრძოლა მისი მაღალი მხატვრულობისა და იდეურობისათვის — ამას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები პოლონელმა და ქართველმა პოეტებმა. პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ მოიგონა ბრიუსელის პოეტების მსოფლიო კონგრესი, სადაც იგი პირველად შეხვდა არტურ მენძიეეცკის. მან აღნიშნა, რომ დღეს ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი გატაცებულია დიადი იდეით — ემსახუროს თანამედროვეობას, გამოხატოს თავისი დროის მოწინავე იდეალები.

ასეთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული აგრეთვე ვისლავა შიმბორსკაიას, სტანისლავ გროხოვიაკის, ზემოვიტ ფედეცკის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ ნონეშვილის, ალექსი გომიაშვილის, მიხეილ მრევლიშვილის, რევაზ მარგიანის, ოთარ ჭელიძის, მუხრან მაჭავარიანის, აკაკი ბელიაშვილის, დავით გაჩეჩილაძის, ვიქტორ გაბესკირიას, იაკინთ ლისაშვილის და სხვათა გამოსვლები თანამედროვე პოეზიის საკითხებზე.

დისკუსიამ ცხადყო სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის პოეტების ერთობა იმ საკითხებში, რომლებიც დღეს აღელვებს ყოველ პატიოსან შემოქმედს, — ეს არის სინამდვილის მართლად ასახვა, ბრძოლა დიდი ხელოვნებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

დისკუსიის მეორე დღეს სახალხო პოლონეთის პოეტები კვლავ ეცნობოდნენ თბილისს, მის ისტორიულ ძეგლებს და ადგილებს. შემდეგ სტუმრებმა ინახულეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში, გაისეირნეს საქართველოს სამხედრო გზით. გუშინ პოლონელი სტუმრები დასავლეთ საქართველოს რაიონების დასათვალიერებლად გაემგზავრნენ.

მეგობართა დახმარება

საკოროდინო (ამურის ოლქი), 3 აგვისტო. (საკდესი). ამურის წყალდიდობის დროს დაზარალდა ჩინეთის პროვინცია ხეილუნძიანის ხუმის მაზრის ზოგიერთი რაიონი.

ჩინელ მეგობართა დასახმარებლად საბჭოთა ადამიანები ჩავიდნენ. ჩინეთის დასახლებული პუნქტების ასეულობით მცხოვრები მოლეკილი რაიონებიდან ვერტმფრინაველით საბჭოთა კავშირის ნაპირზე გადმოიყვანეს. ბევრი დაზარალებული საბჭოთა საავადმყოფოებში მოთავსეს, სადაც მათ გულთბილი მზრუნველობითა და ყურადღებით უვლიდნენ.

გუშინ საკო�ოროდინოში ჩამოვიდა ხუმის მაზრის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩინეთის კომუნისტური პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. ჯინ კე-ფენი. დელეგაციის წევრები იყვნენ ამურზე მდებარე სოფლებში — ალბაზინოსა და ჯალინდაში. ისინი შეხვდნენ იმ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩინელ მოქალაქეთა გადარჩენაში, იმ დაწესებულებათა მედიცინის მუშაკებს, სადაც წყალდიდობით დაზარალებულნი მკურნალობდნენ. სტუმრებმა საბჭოთა ადამიანებს გადაუხადეს გულითადი მადლობა ხუმის მაზრის მშრომელთა სახელით.

ეს ნამდვილი კეთილშობილებაა

კეთილშობილება, პატიოსნება, მამაცობა ადამიანის ისეთი თვისებებია, რომლებიც მყდევნდება მრავალი სახით — დიდ საქმეებშიც და წვრილმანებშიც.

კეთილშობილების ერთ-ერთი გამოვლინებაა საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანისათვის დახმარების გაწევა, თუნდაც საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებით.

კეთილშობილია ტყიბულის მცხოვრები პენსიონერი არსენ ჯავახიშვილი, რომელიც, როგორც გვწერს ჩვენი მკითხველი ნ. ჯინჯიხაძე, გადაეშვა დიდ და ღრმა აუზში, რომ შიგ ჩავარდნილი 9 წლის ნანი ნიკოლაიშვილი ამოიყვანა.

კარგი ადამიანები დადგებიან მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის მცხოვრები მეექვსე კლასის მოსწავლე ელდარ ბაკურაძე, რომელმაც ადიდებულ მდინარეში ჩავარდნილი ოთხი წლის სიმონ ნასყიდაშვილი ამოიყვანა, რაზეც გვწერს კომკავშირელი თინა ნასყიდაშვილი, და ოჩამჩირის პირველი ქართული საშუალო სკოლის მესამე კლასის მოსწავლე თ. გვილავა, რომელმაც ნაპოვნი ოქროს საათი დაუბრუნა პატრონს.

„ასე იქცევა საბჭოთა მოქალაქე, — გვწერს თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი მ. ქოჩიაშვილი და მოგვითხრობს, რომ როცა მძღოლმა ვაჟა მაკარიძემ თერჯოლა-ქუთაისის გზაზე ავტობუსში ნახა ჩანთა, რომელშიც აღმოჩნდა 4.450 მანეთი და ოქროს საათი, მან მგზავრების თანხმობით გზას გადაუხვია და სოფელ სიქთარაში მიუტანა ჩანთა პატრონს ა. პატარიძეს. ქუთაისელმა ტაქსის მძღოლმა ა. ბოჭორიშვილმა, როგორც „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი იწერება, დაუბრუნა პატრონს მანქანაში დარჩენილი ჩემოდანი, რომელშიც ძვირფასი ნივთები და 1.500 მანეთი იყო.

ასეთი ადამიანები საყოველთაო პატივისცემას იმსახურებენ.

ველოტურისტები კავკასიაში მოდიან

სოხუმი, (საქდესი). ბზიბის ხეობის მოასფალტებულ გზაზე რიწის ტბისაკენ ავტომანქანების უკან მიჰქრის ორი ველოსიპედისტი. ერთი მათგანი უკვე ორაათასნახევრად მამაკაცია, მეორეს კი ჯერ მოსწავლის ფორმა აცვია. ესენი არიან მამა-შვილი ანკეტიევები, რომელნიც მშობლიურ ქვეყანაში მოგზაურობენ სამაძღარ მარკის „პროგრესის“ ველოსიპედებით.

ისინი მშობლიურ ქალაქ ბეიეცკიდან 8 ივნისს გამოვიდნენ. ველოტურისტები 1 აგვისტოს ჩამოვიდნენ სოხუმში. მათ უკვე გამოიარეს 4 ათას კილომეტრზე მეტი. მათი მოგზაურობის მარშრუტია კალინინი — მოსკოვი — ხარკოვი — როსტოვი — მინერალური წყლები, ორჯონიკიძე, თბილისი — ქუთაისი — ბათუმი — სოხუმი — გაგრა — სოჭი, ნოვოროსიისკი, იალტა, სევასტოპოლი. აქედან ისინი წავლენ შინ.

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე გაჩაღებული საკურორტო სეზონის დღეებში მეტი და მეტი ველოტურისტი ჩამოდის. გულთბილ ჩანაწერებს აკეთებენ ისინი თავიანთ სამარშრუტო ჟურნალში და განაგრძობენ გზას.

საინტერესო ნაპოვნები

ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა სოფელ სნოს ეკლესიის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დროს თითქმის ერთ მეტრ სიღრმეზე აღმოაჩინეს საფლავი. ქარხული ორნამენტებით შემკული ქვის კუბოში აღმოჩნდა პირქვე დამხობილი მამაკაცის ჩონჩხი. კუბოს გვერდით აღმოჩნდა ოდაყვებზე დაყრდნობილი მჯდომი ქალის ჩონჩხი.

რაიონის ტერიტორიაზე მოწყობილი არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები ფართოდ წარმოდგენილია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აქ არის ბეთლემის გამოქვაბულში ნაპოვნი მოზაიკით შემკული სპილენძის მოზრდილი შანდალი, ხატი, წმინდა ნაწილების შესანახი ხის ყუდლა, სხვადასხვა ზომის ხის ჯამები, ბრინჯაოს ნივთები. ექსპონირებულია ვერცხლისა და სპილენძის თასები მხედრული წარწერებით. (საქდესი).

სურათზე: ქარხნის ასაწყობ საამქროში. ზეინკალი ნ. სოლინი აკომპლექტებს ხელოვნური სუნთქვისათვის საჭირო „დპ-2“ პორტატიულ აპარატებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა.

ფოტო ლ. ვეფლიკანინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სპორტის ამბები

როცა მთელი გუნდი მონდომებით თამაშობს

თბილისი. 5 აგვისტო. „დინამოს“ (თბილისი) — სკა (დონის როსტოვი) — 7:2 (3:0). თბილისი. 5 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი ნ. ბელოვი (ლენინგრადი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, დათუნაშვილი, კალოევი, ღოლობერიძე, მესხი; სკა — კიკტევი, გუშჩინი, ბოჩაროვი, გეიზერი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, სმირნოვი, ლევჩენკო, პონედელნიკი, ოდინცოვი, მოსალოიკი (მატვეევი).

თამაში დამთავრდა. ჩვენ მსაჯთა ოთახში ვართ. კაპიტნებმა თვალი გადაავლეს შეჯიბრების ოქმს, ხელი მოაწერეს. შეიესო უკანასკნელი გრაფები.

აი დინამოელთა შეფასებაც — მხოლოდ სამი ოთხიანი (სიჭინავა, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი) დანარჩენებს — ხუთიანები.

იყო თუ არა ეს შეფასებები დინამოელთა ბრძოლის გამომხატველი?

უთუოდ.

ბოთხეული, რომ თამაშის მსვლელობის კურსში ვამყოფოთ, მოკლედ აღვწერთ მატჩს. მეტოქეთა ბრძოლის სქემა ძირითადად ასე გამოიყურებოდა.

სტუმრები ცდილობდნენ რათაც არ უნდა დაჯღომოდათ კონტროლი დაეწესებინათ მოედნის შუა გულისათვის, ეფექტურად გამოეყენებინათ დამკვრელი საშეული პონედელნიკის, სმირნოვისა და მოსალოიკის შემადგენლობით, ამასთანავე გაენეიტრალებიათ დინამოელთა მარცხენა ფრთა.

თბილისელთა ტაქტიკა კი ძირითადად ნახევრამცველთა და შუამამრბა სწორ ურთიერთგაგებასა და აქედან დაწყებულ კომბინაციებს ეყრდნობოდა, სადაც მთავარი როლები გახარეულებულ იყო იამანიძეზე, ღოლობერიძეზე და დათუნაშვილზე.

ამ ტაქტიკურ ვარიანტებში უფრო სრულყოფილი დინამოელთა ჩანფიქრი აღმოჩნდა და მათი შეტევებიც ორგანიზებული და საშინი იყო. დასაწყისშივე (მე-3 წუთი) მელაშვილი მარჯვენა ფრთიდან წინ გაიჭრა და მაშინ, როდესაც კიკტევმა ნაადრევად დატოვა კარი, დინამოელთა გარემარბმა კარგად ჩაიწოდა ზედ კართან და კალოევს ისღა დარჩა, რომ ბურთისათვის ფეხი დაეხვედრებია — 1:0.

ეს გოლი მოულოდნელი იყო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთათვის და მათს რიგებში ერთგვარად თავი იჩინა ბზარამ.

25-ე წუთი. არმიელები დაჯარიმდნენ, როგორც წესი სტუმრებმა ცოცხალი კედელი აღმართეს, მაგრამ მესხმა თითქოს შეუმჩნეველ ნაწილში მოძებნა „ფანჯარა“ და უძლიერესი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ერთ-ერთი შესანიშნავი კომბინაცია მანვე მესამე გოლით დაგვირგვინა.

შესვენების შემდეგ როსტოველ ფეხბურთელებს ისღა დარჩენოდათ, რომ მხოლოდ იერიშებზე ეზრუნათ. ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ გამართლებული აღმოჩნდა. ოდნავი ყურადღების მოდუნებაც კი დინამოელებს ძვირად დაუჯდათ. 13 წუთში სტუმრებმა (პონედელნიკი, ლევჩენკო) 2 ბურთი გაიტანეს და ბურთების განსხვავება მინიმუმამდე დაიყვანეს.

ამის შემდეგ რიტმულად ამოძრავდა „დინამოს“ მთელი მექანიზმი და მაყურებელთა წინაშე გადაიშალა თბილისელი ფეხბურთელების ნამდვილი ოსტატობა, ისინი მთლიანად დაეუფლნენ მოედანს, მოქანცეს მეტოქე და კიდევ 4 ბურთი გაიტანეს (კალოევი, მესხი, იამანიძე) ზედიზედ.

დიახ, ეს იყო ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთი, დამსახურებული გამარჯვება, სადაც ანგარიში 7:2 დინამოელთა სასარგებლოდ, სავსებით შეესატყვისებოდა ბრძოლის მსვლელობას.

მატჩის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების გუნდის მწვრთნელმა **ნ. გულიევმა,** რომელიც ამ თამაშს ესწრებოდა, განაცხადა:

ყველა დარწმუნდა თუ რა შეუძლიათ დინამოელებს. მოედანზე ვნახეთ საჭირო ბრძოლა, მონდომება, ერთსულოვნება. მართალი გითხრათ მე მათ ვერ ვცნობდი ერევანში „სპარტაკთან“ მატჩში, მაგრამ ვერც დღეს ვიცანი. ეს იყო ორი სხვადასხვა გუნდი. როგორც ჩანს „დინამოში“ მოისუსტებს დისციპლინის საკითხი, რომლის გამოსწორება პრობლემა რჩება. სირცხვილია ასეთი კოლექტივი, ასეთი შესანიშნავი მონაცემების ფეხბურთელები, რომ წარუმატებლად გამოდიოდნენ.

განსაკუთრებით მომეწონა ჩოხელი და იამანიძე. დიდი სარგებლობა მოუტანა გუნდს მესხმა.

სსრ კავშირის პირველობაზე

პირველი ქვეჯგუფი

ტალინი. 5 აგვისტო. საკავშირო ჩემპიონატის პირველი ქვეჯგუფის აუტსაიდერმა ტალინის „კალევის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა უკანასკნელისწინა მე-19 ტურის მატჩი ქვეჯგუფში გამართა თავის მოედანზე გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:1.

მოსკოვი. 5 აგვისტო. დღეს დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა „ზენიტის“ გამარჯვებით 3:2.

ხარკოვი. 5 აგვისტო. პირველი ქვეჯგუფის ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რიგის „დაუგავარვს“-ს ფეხბურთელთა გუნდმა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მეორე წრის მორიგი ასპარეზობა გამართა ხარკოვში ადგილობრივ „ავანგარდთან“. მატჩის შედეგია 2:0 „ავანგარდის“ სასარგებლოდ.

ტაშკენტი. 5 აგვისტო. აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ქვეჯგუფის უკანასკნელისწინა ტურის მატჩი ფეხბურთში ერევნის „სპარტაკისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდებს შორის. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 0:0.

გათამაშების ცხრილი

პირველი ქვეჯგუფი

მდგომარეობა 6 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	20	14	3	3	39:16	31
„დაუგავა“ (რ.)	19	8	7	4	25:16	23
სკა (როს.)	19	8	7	4	30:26	23
„დინამო“ (მ.)	19	8	6	5	30:15	22
„დინამო“ (თბ.)	19	8	6	5	47:31	22
„სპარტაკი“ (ერ.)	19	7	7	5	33:27	21
„ზენიტი“ (ლ.)	19	8	4	7	32:25	20
„პახტაკორი“ (ტ.)	19	7	4	8	24:33	18
„ავანგარდი“ (ხ.)	19	4	6	9	17:28	14
„მოლდოვა“ (კ.)	19	4	5	10	17:31	13
„კალევი“ (ტალ.)	19	0	3	16	12:58	3

ამინდი

7 და 8 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 16-21, დღისით 26-31 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 21-26 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 16-21, დღისით 27-32, მთიან რაიონებში ღამით 7-12, დღისით 17-22 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

6 აგვისტო

თეატრები: ფილარმონიის საზაფხულო — ბულგარეთის ესტრადის სალამო.

ტელევიზია: 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“ № 15, 19.10 — კინოჟურნალი, 19.20 — კონცერტი, 19.50 — აზერბაიჯანის აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „ფარხადი და შირინის“ ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან. ანტრაქტში — ახალი ამბები.

თეატრის წარსულიდან

1922 წელს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-საგანმანათლებლო განყოფილების ეუბაკთა ინიციატივით დაარსდა ქართული სანიტარული კულტურის თეატრი, რომელიც პირველი იყო მთელ საბჭოთა კავშირში. თეატრის დასმა, რომელიც შედიოდნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვიქტორ გამყრელიძე, ვასო ბალანჩივაძე და სხვა ცნობილი ქართველი მსახიობები, 1922 წლის ნოემბერში წარმოადგინა პირველი ქართული სანიტარული პიესა „მალარია“. აქედან იწყება ქართული სანიტარული თეატრის ისტორია. მას შემდეგ თეატრმა თავისი არსებობის ოცდაათ წელზე მეტ მანძილზე ნაყოფიერი, შემოქმედებითი და საგიტაციო მუშაობა გასწია, ეწეოდა სამედიცინო ცოდნის პროპაგანდას, იბრძოდა სოციალური და ეპიდემიური დაავადებათა გავრცელების წინააღმდეგ და ამ მიზნით მრავალგზის გაუმართავს საგასტროლო წარმოდგენები საქართველოს რაიონებში.

სანიტარული თეატრის ამ ნაყოფიერი საგასტროლო მოღვაწეობის შესახებ სანიტერესოდ მოგვითხრობს ამ თეატრის ყოფილი სახატვრო ნაწილის გამგის და მსახიობის სვიმონ წერეთლის წიგნი „ათი ათასი წარმოდგენა პერიფერიებში“, რომელიც ამას წინათ გამოსცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

ავტორი გვიამბობს სანიტარული კულტურის თეატრის გასტროლებზე კახეთში, ქართლში, აფხაზეთში, საინგილოში, თუშეთში-ხევსურეთში, ჩრდილეთ კავკასიაში, სამხრეთ ოსეთში და ა. შ. წიგნის დასასრულს ავტორი ახალ საინტერესო მასალებს გვაწვდის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ისტორიის საკითხებზე. წიგნი, რომელიც ს. ვაჩნაძის რედაქტორობით სამი ათასი ეგზემპლარის საერთო ტირაჟით გამოიცა, დაეხმარება ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი სამედიცინო აპარატები

მოსკოვის ოლქი. მრავალი ახალი სამედიცინო ხელსაწყო და აპარატი შექმნა ორეხოვო-ზუევოს ქარხანა „რუბინატორის“ სამედიცინო ტექნიკის განყოფილების კონსტრუქტორთა კოლექტივმა. ბევრ ამ ხელსაწყოსა და აპარატს საწარმო უკვე სერიულად უშვებს და მათ ადიარებენ ჰპოვეს როგორც ჩვენი ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებში, ისე საზღვარგარეთ. ამ აპარატებს ფართოდ იყენებენ სახუნთქი ორგანოების სამკურნალოდ და გულისა და ფილტვების ოპერაციების გაუმტკივნეულოებისათვის. უკანასკნელ ხანს ინჟინრებმა მთავარი კონსტრუქტორის ბ. ზიმას ხელმძღვანელობით შეიმუშავეს კიდევ რამდენიმე ახალი აპარატი, რომლებსაც წარმატებით ცდიან. ახლო მომავალში დაიწყება ამ აპარატების სერიული წარმოება.



ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოს